ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 88

ქალაქი ქუთაისი 26 აგვისტო 2026 წელი

ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის №16-ში (ნაკვეთი №2), გუგუნავას ქუჩის №16-ში (ნაკვეთი № 1) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის №16-ში (ნაკვეთი №2); გუგუნავას ქუჩის №16-ში (ნაკვეთი №1); (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.05.27.122), არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი მარეხი ნიჟარაძე

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
მას. № 88
27-08-2026 წ.